განკარგულება:**გ-81. 81223415**
თარიღი:**07/12/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №70

ცაგერის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანილი ქ. ცაგერში, თამარ მეფის ქ. №28-ში ძველი პოლიციის შენობის პირველ სართულზე მდებარე 96, 25 კვ.მ ფართის (ს/კ89.03.22.014 01/501) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ

---

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითთმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.გ.“ ქვეპუნქტის, 61 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგრიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 34-ე მუხლის შესაბამისად და ს.ს.ი.პ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №006748222 საექსპერტო დასკვნის საფუძველზე,

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანილი ქ. ცაგერში, თამარ მეფის ქ. №28-ში ძველი პოლიციის შენობის პირველ სართულზე მდებარე 96, 25 კვ.მ ფართის (ს/კ89.03.22.014 01/501) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 40 900 (ორმოცი ათას ცხრაასი) ლარით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დაგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com